ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#9

22 აგვისტო 2025 წელი

ქ.ბაღდათი 10.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: მურად ბურჯანაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გურამ ჩხეიძე
გურამი კიკნაველიძე
გია სახამბერიძე
მაია კბილაშვილი
გვანცა გრძელიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი: ვლადიმერ მელაძე

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მრჩეველი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში: რამაზ მეფარიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2025 წლის მეორე კვარტლის შესრულების შესახებ“

მომხს. ლერი გუმბერიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ მურად ბურჯანაძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2025 წლის მეორე კვარტლის შესრულების შესახებ“ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ განაცხადა, რომ დასუფთავების სამსახურს უნდა სატვირთო ავტომობილის შეძენა, რაც გასათვალისწინებელი იქნება

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2025 წლის მეორე კვარტლის შესრულების შესახებ“ მიიღოს კომისიამ და გატანილი იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2025 წლის მეორე კვარტლის შესრულების შესახებ“ მიიღო კომისიამ და გატანილი იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

შენიშვნები:

წარმოდგენილი მონაცემებით საშემოსავლო ნაწილში გრანტებით გათვალისწინებული 20,4 ათ ლარის ნაცვლად მიღებულია 1,6 ათ ლარი. გეგმა არ შეესაბამება დაზუსტებული ბიუჯეტის მონაცემებს. წლიური გეგმით დაზუსტებულია 18,0 ათ ლარი. ანუ 6 თვის გეგმა 2,4 ათ ლარით მეტია წლიურზე. ანალოგიურად სხვა ხარჯები 6 თვის გეგმით მისაღებია 1354,4 ათ ლარი. როცა

წლიური გეგმაა 792,4 ათ ლარი. ფაქტობრივი ხარჯია 1354,4 ათ ლარი. საქართველოს საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) 764,8 ათ ლარის ნაცვლად შემოსულია 2883,0 ათ ლარი. ანუ 2118,2 ათ ლარით მეტი. რაც არასწორი პროგნოზირების შედეგია.

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა

სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძე